ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №09

11.08.22020წ.

რექტორი, პროფესორი: მარინა ფირცხალავა

**შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის**

ეთიკის კოდექსი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეთიკის კოდექსი ადგენს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") პერსონალისა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) და სტუდენტების ქცევის ეთიკურ ნორმებსა და წესებს, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად. განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.
2. წინამდებარე კოდექსი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის პერსონალისა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) და სტუდენტებისათვის.
3. ეთიკის კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს პრინციპები და ნორმები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს უნივერსიტეტის პერსონალმა და სტუდენტებმა.
4.უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები, სპეციალური მითითების გარეშე, ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე კოდექსი და დაემორჩილონ დისციპლინურ პასუხისმგებლობებს.

## მუხლი 2. ეთიკის კოდექსის პრინციპები

უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტში დადგენილი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, როგორიცაა: კანონიერება, დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა.

## მუხლი 3. ეთიკის ნორმები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის

1. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საქმიანობა წინამდებარე კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმების შესაბამისად.

ბ) შექმნას ყველა პირობა სრულყოფილი აკადემიური გარემოს არსებობისათვის. შეიმუშავოს ხარისხიანი სწავლების ეფექტური მეთოდები და შეფასების სამართლიანი კრიტერიუმები, ხელი შეუწყოს მოსაზრებათა თავისუფალ გაზიარებას.

გ) პატივისცემით მოეპყროს სტუდენტებს, დაიცვას სტუდენტების აკადემიური თავისუფლება და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ზრდას.

დ) სტუდენტების შეფასების პროცესში იმოქმედოს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად, შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორიცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებებულები, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა;

ე) არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც სტუდენტს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან პრივილიგირებულ მდგომარეობაში.

ვ) არ დაუშვას სტუდენტის და კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა, დადანაშაულება, თავი აარიდოს კონფლიქტების წარმოშობას, კრიტიკისას იყოს კორექტული.

ზ) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამკვიდრებას.

თ) არ გაამჟღავნოს მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ი) არ დაუშვას სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საჩუქრის მიღება.

კ) არ გამოავლინოს რამე სახის აგრესია ან დისკრიმინაციული დამოკიდებულება სქესობრივი, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ან სხვა საფუძველზე.

ლ) დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები, არ დაუშვას სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება ციტირების გარეშე და მისაკუთრება.

მ) არ დაუშვას მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება სამეცნიერო ნაშრომში.

ნ) თავი შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი საუნივერსიტეტო მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებას.

ო) დანიშნულებისამებრ და სათანადოდ გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები, მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისათვის.

პ) არ გამოცხადდეს უნივერსიტეტში ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში.

ჟ) არ მოწიოს თამბაქო უნივერსიტეტის შენობაში. შეზღუდვა არ ვრცელდება უნივერსიტეტის ეზოში ან შენობის გარეთ თამბაქოს მოწევაზე.

რ) არ დაუშვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური და პოლიტიკური სახის გამოსვლების მოწყობა და საჯარო მოწოდებები.

ს) დაიცვას აკადემიური ჩაცმის სტილი.

ტ) პატივისცემით და სამართლიანად მოეპყროს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს და მათ საქმიანობას.

2. პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

## მუხლი 4. ეთიკის ნორმები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საქმიანობა წინამდებარე კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმების შესაბამისად.

ბ) შექმნას სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო.

გ) ხელი შეუწყოს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. პატივი სცეს უნივერსიტეტსა და მის ტრადიციებს.

დ) კოლეგებს და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით. არ დაუშვას მათი დამცირება, შეურაცხყოფა, დადანაშაულება, თავი აარიდოს კონფლიქტების წარმოშობას, კრიტიკისას იყოს კორექტული.

ე) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამკვიდრებას.

ვ) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას.

ზ) არ გაამჟღავნოს მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თ) პირადი გამორჩენის მიზნით არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა.

ი) არ დაუშვას სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საჩუქრის მიღება.

კ) არ გამოავლინოს რამე სახის აგრესია ან დისკრიმინაციული დამოკიდებულება სქესობრივი, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ან სხვა საფუძველზე.

ლ) დაემორჩილოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მარეგულირებელ წესებს, პროცედურებს და არსებულ კანონმდებლობას.

მ) თავი შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი საუნივერსიტეტო მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებას.

ნ) დანიშნულებისამებრ და სათანადოდ გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები, მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისათვის.

ო) არ გამოცხადდეს უნივერსიტეტში ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში.

პ) არ მოწიოს თამბაქო უნივერსიტეტის შენობაში. შეზღუდვა არ ვრცელდება უნივერსიტეტის ეზოში ან შენობის გარეთ თამბაქოს მოწევაზე.

ჟ) არ დაუშვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური და პოლიტიკური სახის გამოსვლების მოწყობა და საჯარო მოწოდებები.

2. პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

## მუხლი 5. ეთიკის ნორმები სტუდენტებისათვის

1. სტუდენტი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელსა და რეპუტაციას, პერსონალს და სხვა სტუდენტებს.

ბ) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების წესის, უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

2. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა).

ბ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში.

გ) ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების, ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება, აზარტული თამაშები.

დ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთიერებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან.

ე) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაზიანება/განადგურება.

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება.

ზ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების და პერსონალისათვის.

თ) ბილწსიტყვაობა.

ი) აკადემიური სიყალბე, რომელიც გულისხმობს: გადაწერას სხვა სტუდენტის ნაშრომიდან; სხვა პირის ნაშრომის საკუთრად წარმოჩენას; სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას; წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირებას (პლაგიატი); სხვა სტუდენტის ნაშრომის მოპარვას, განადგურებას, შეცვლას; შეფასების მიღების მცდელობას გამომცდელზე მუქარით, მოტყუებით თუ სხვა დაუშვებელი ხერხებით; საკუთარი საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბებას.

კ) გამოცდების ჩატარების წესის დარღვევა, საგამოცდო პროცესის ხელის შეშლა.

## მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების მიერ ეთიკის ნორმებისა და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

2. პერსონალის მიერ ეთიკის ნორმებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის „შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“.

3. სტუდენტების მიერ ეთიკის ნორმებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევისათვის გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი სანქციები:

ა) შენიშვნა.

ბ) გაფრთხილება.

გ) საყვედური პირად საქმეში შეტანით.
დ) სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეწყვეტა.
ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა განისაზღვრება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

## მუხლი 7. ეთიკის კომისია

1. ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში იქმნება ეთიკის კომისია.
2. საკითხის აღძვრა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა დარღვევის ფაქტი. დაინტერესებული პირი დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.
3. რექტორის ბრძანებით მტკიცდება ეთიკის კომისიის შემადგენლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, მინიმუმ 3 წევრის ოდენობით. სტუდენტთან დაკავშირებულ საკითხზე ეთიკის კომისიაში მონაწილეობს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.
4. ეთიკის კომისიას გადაეცემა შემოსული დოკუმენტაცია. კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.
5. ეთიკის კომისია ვალდებულია თითოეული საქმე გაძოიკვლიოს სრულყოფილად, ყველა მხარის პოზიციის გათვალისწინებით, ობიექტურად და სამართლიანობის სრული დაცვით. შეისწავლოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია. მოისმინოს დაინტერესებული მხარეების ახსნა-განმარტება.
6. ეთიკის კომისიის სხდომაზე წარმოებაში მონაწილე პირები უფლებამოსილნი არიან წარადგინონ საკუთარი ახსნა-განმარტებები და მოსაზრებები საქმის გარემოებების შესახებ.
7. ეთიკის კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სათანადო დასაბუთების არსებობის შემთხვევაში.
8. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ. დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით. მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები. მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ საკითხი განხილულ იქნას საჯარო სხდომაზე.
9. დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, უნივერსიტეტის საკუთრების და უსაფრთხოების დაცვას.
10. ეთიკის კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.
11. ეთიკის კომისიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური.
12. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი.

13. ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
14. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
15. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.
16. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს/პირებს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით სამი დღის ვადაში.

## მუხლი 8. გადაწყვეტილების გასაჩივრება, სააპელაციო კომისია

1. უნივერსიტეტის პერსონალს/სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, თუ მიაჩნია, რომ ის არასწორ ფაქტებზეა დაფუძნებული.
2. გასაჩივრება შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.
3. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება რექტორის ბრძანებით. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს იმავე საქმეზე ეთიკის კომისიაში მყოფი პირი.
4. სააპელაციო კომისია გამოითხოვს საქმის გარშემო არსებულ ყველა მასალას, მოისმენს ფაქტობრივ გარემოებებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მათზე დაყრდნობით.
5. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია არ მიიღოს საქმე წარმოებაში თუ განცხადებაში არ არის ჩამოყალიბებული არგუმენტები, რაც მიუთითებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების უკანონობას ან დაუსაბუთებლობას.
6. სააპელაციო კომისია, საქმის მასალების სრულად და ობიექტურად შესწავლის შემდეგ, გამოიტანს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.
7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს აღსასრულებლად.
8. უნივერსიტეტის პერსონალი/სტუდენტი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

## მუხლი 9. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის შედეგად და იყოს დასაბუთებული.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის სანქციის დადებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩადენილი გადაცდომის ხასიათი და სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, დამდგარი ზიანი, პირის ბრალეულობა და ყოფაქცევა.
3. დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული.

4. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული პრინციპის დაცვით.
5. ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი დისციპლინური სანქცია.
6. თუ პირს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.
7. მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტის „გ", „დ" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება „საყვედური პირად საქმეში შეტანით" ან „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა", სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება პოლიციის ინფორმირება.
8. მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტის „ი" და „კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში პირის მიმართ გამოყენებულ იქნება „გაფრთხილება". იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სარგებლობს სტიპენდიით, მის მიმართ გამოყენებული იქნება „სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეწყვეტა". ასევე გაუუქმდება ნაშრომი ან/და მოიხსნება გამოცდიდან. ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში პირის მიმართ გამოყენებული იქნება „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა".
9. მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა", „ბ", „ვ" და „თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში, პირის მიმართ გამოყენებული იქნება „შენიშვნა". დარღვევების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება „გაფრთხილება" ან „საყვედური პირად საქმეში შეტანით". იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სარგებლობს სტიპენდიით, მის მიმართ გამოყენებული იქნება „სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეწყვეტა".
10. მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება „გაფრთხილება" ან „საყვედური პირად საქმეში შეტანით". ასევე დაეკისრება მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება.

## მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე კოდექსით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის „შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით".
2. წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ.
3. კოდექსი ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.